საქართველო
ვანის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ვანი, თავისუფლების №65, ინდექსი 1900, E-mail: vanis.gamgeoba@yahoo.com ტელ. 22-25-25

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 20 551

02/05/2019

ვანის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 86[1] მუხლის მეოთხე პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ტიპიური დებულება თანდართული სახით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ვანის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 12 თებერვლის N20 106 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია ძმები ნინუების ქ.N1).

ალექსანდრე გოგორიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

ვანის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ტიპიური დებულება

თავი პირველი

მუხლი 1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ცნება.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო, საკონსულტაციო ორგანო, ის წარმოადგენს ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმას.

მუხლი 2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ქმნის მუნიციპალიტეტის მერი. უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ასევე ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით, მათ შორის ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3 ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: მეწარმე იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.

თავი მეორე

მუხლი 4. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მოწვევის წესი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო მოიწვევა არანაკლებ სამ თვეში ერთხელ, რომელსაც თავმჯდომარეობს სხდომაზე დამსწრე სამოქალაქო საბჭოს წევრთა უმრავლესობით არჩეული წევრი.

მუხლი 5. სამოქალაქო მრჩეგელთა საბჭოს საქმიანობის წესი.

მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები.

მუხლი 6. სამოქალაქო საბჭოს სხდომის ოქმი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, რაზედაც ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი.